წინადადების სტრუქტურა თანამედროვე დიალოგში

ნინო მჭედლიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე გამოყენებითი ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ სუხიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო მჭედლიშვილი

28.06.2022

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ასოც. პროფესორ თამარ სუხიშვილს, ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოჩენილი ყურადღებისა და დახმარებისთვის.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია წინადადების სტრუქტურა თანამედროვე დიალოგში. საანალიზო წყაროებად კი აღებულია თანამედროვე ქართველი მწერლების, კერძოდ, ლაშა თაბუკაშვილის, ლაშა ბუღაძის, დათო ტურაშვილის, აკა მორჩილაძის, ანა კორძაია-სამადაშვილის და სხვათა დიალოგები. თანამედროვე ქართველი მწერლების დიალოგურ წინადადებებში სიტყვათა მიმდევრობის თავისებურებებზე აქამდე ყურადღება არ გამახვილებულა, რაც კვლევის ღირებულებას წარმოადგენს.

ნაშრომში განხილულია ერთი მხრივ, მთავარ და არამთავარ წევრთა პოზიცია მარტივ თხრობით და კითხვით წინადადებებში, მეორე მხრივ, - დიალოგებში იმავე მოდალობის წინადადებების სტრუქტურა. ძირითად ორიენტირს, როგორც უკვე ითქვა, მარტივი თხრობითი და კითხვითი წინადადება წარმოადგენს, ვინაიდან დიალოგები უმეტესწილად კითხვა-პასუხისგან შედგება.

კვლევის მიზანია, წარმოაჩინოს, თანამედროვე ქართველი მწერლების დიალოგებში რამდენად არის წინადადების მთავარ და არამთავარ წევრთა აქამდე დადგენილი პოზიციები დაცული და რა თავისებურებები ახასიათებს მათ.

ჩატარებული კვლევა მოიცავს ნაწილობრივ თვისობრივ, ნაწილობრივ კი რაოდენობრივ კვლევას.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ თანამედროვე ქართულ დიალოგში სიტყვათა მიმდევრობა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. კერძოდ, დიალოგებში წინადადების წევრები ძირითადად ინარჩუნებენ ჩვეულ პოზიციას, თუმცა ფიქსირდება ამ პოზიციებიდან გადახვევის შემთხვევებიც. მიზეზი კი, ერთი მხრივ, ლოგიკური მახვილია, მეორე მხრივ კი - დიალოგის სპეციფიკა.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: სიტყვათა რიგი, სიტყვათა რიგი დიალოგში, თანამედროვე ქართული დიალოგი, მთავარი წევრის ადგილი, არამთავარი წევრის ადგილი.

Abstract

The present paper studies sentence structure in modern dialogue. Analytical sources: Dialogues of contemporary Georgian writers, in particular: Lasha Tabukashvili, Lasha Bughadze, Dato Turashvili, Aka Morchiladze, Ana Kordzaia-Samadashvili, and others. So far, no attention has been paid to peculiarities of word order in dialogic sentences written by modern Georgian writers, which represents the value of the study.

On the one hand, the paper discusses the position of the primary and secondary parts in simple narrative and interrogative sentences, and on the other hand, structures of the same modality sentences in dialogues. So far, as already mentioned, the main guideline is presented by a simple declarative and interrogative sentence, whereas dialogues mostly consist of questions and answers.

The purpose of the study is to show to what extent the previously established positions of the primary and secondary parts of the sentence are preserved in the dialogues of modern Georgian writers and what are their characteristic features.

The conducted research includes partly quantitative and partly qualitative studies.

As a result of the study, the sequence of words in modern Georgian dialogue is characterized by certain features. Usually, the parts of the sentences remain the same common positions, but in some cases they have different positions. The reason for this change is the logical stress and the dialogue characteristics as well.

Thematic keywords: Word order, word order in dialogue, modern Georgian dialogue, position of the primary part, position of the secondary part.